ახალგაზრდა ეროელი

გამოსცემს გამოვლის 1921 წლიდან

შაბათი 17 ნოემბერი № 127 (11613) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართვა სრულიად საქართველოს

ძვირფასო თანამემამულენო!

1990 წლის 14 ნოემბერს თავისი ძნელი, მაგრამ ფრიად საპატიო მოვალეობის აღსრულებას შეუდგა დემოკრატიული წესით არჩეული მრავალპარტიული ეროვნული პარლამენტი. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ ნდობის მანდატით აღჭურვილი ეს უზენაესი საკანონმდებლო ორგანო უეჭველად იქნება ჩვენი ეროვნული ნებისა და მისწრაფებების ჭეშმარიტი გამომხატველი.

გრძნობს რა შექმნილი მდგომარეობის ისტორიულ მნიშვნელობას, საქართველოს უზენაესი საბჭო თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნევს დაუღალავად იღვაწოს გარდამავალი პერიოდის სპეციფიკით ნაკარნახევ პრობლემათა გადაჭრისა და ქვეყანაში შექმნილი მრავალმხრივი კრიზისის დაძლევისათვის. სწორედ ამ გზით უნდა შევამზადოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის აუცილებელი რეალური საფუძველი.

ერისა და პიროვნების სრული თავისუფლების დამკვიდრება ყოველი ჩვენგანის სანუკვარი მიზანია. მაგრამ აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია ეროვნული თანხმობის, ურთიერთთანადგომისა და ურთიერთპატივისცემის გარეშე.

საქართველოს კეთილდღეობისათვის დღეს ჰაერივით საჭიროა ერთიანობა და სიმტკიცე, შემწყნარებლობა და მიმტევებლობა, ნებისმიერ პარტიულზე მაღლა ეროვნული ინტერესების დაყენება.

ჩვენ, პარლამენტში არჩეული სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, საჯაროდ ვაცხადებთ, რომ განუხრელად ვიხელმძღვანელებთ საერთო-ეროვნული და არა ლოკალურ-პარტიული მოტივებით. ამგვარივე მოწოდებით მივმართავთ საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას.

ამჟამად, დამოუკიდებლობის გზაზე მდგომ საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს შუღლისა და ურთიერთდაპირისპირების რამდენადმე სერიოზული მიზეზი. საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის შეუქცევადი პროცესი სრულად უზრუნველყოფს პიროვნების უფლებათა ხელშეუხებლობას, ყველა სოციალური ფენის ინტერესთა დაცვასა და ეროვნულ უმცირესობათა ყოველმხრივ განვითარებას.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ნათელყოფს, რომ ჩვენში არასოდეს შელახულა ამა თუ იმ ეროვნების ინტერესები. ამჟამადაც გარანტირებულია მათი შეუვალობის ყველა პირობა, მათ შორის ავტონომიურ უფლებათა აღიარება და პატივისცემა.

თანამემამულენო!

საქართველოს უზენაესი საბჭო მიმართავს ყველას, ვისაც გულწრფელად აფიქრებს სამშობლოს ბედი, დადგეს ეროვნული შერიგების პოზიციაზე. მხოლოდ მტკიცე თანხმობა და ერთიანობა იხსნის საქართველოს, მიგვიყვანს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობამდე. ძმათა შორის შუღლის ჩამოგდება ახლა ღალატის ტოლფასია. ერთიანი საქართველო უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის უპირველესი საზრუნავი. ამ ერთიანობის მისაღწევად წმინდა ილია მართალმა თავის დროზე ნათელმხილველის კეთილგონიერებით მოგვწოდა:

„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი
ჩვენ უნდა ვხდეოთ ახლა სხვა ვარსკვლავს“...

დაე, ჩვენც, ახლანდელ ქართველობას, გვიღვიოდეს სურვილი წარსულზე ამაღლებისა, თვისტომის სიყვარულის და უფლის ერთგულებისა.

ღმერთი იყოს სრულიად საქართველოს მფარველი!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ დეპუტატი ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 14 ნოემბერი.



ზვიად გამსახურდია

ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია დაიბადა 1939 წელს. იგი ქართული მწერლობის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას შვილია. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. მუშაობს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მისი მეცნიერული ინტერესები მოიცავს ქართული კულტურის, რუსთველოლოგიის, თეოლოგიის, ანთროპოლოგიის, საზღვარგარეთული მწერლობისა და მითოლოგიის სფეროებს. იგი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი მონოგრაფიისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

ზვიად გამსახურდია ცნობილია როგორც პოეტი და ბელეტრისტი. გამოქვეყნებული აქვს ლექსებისა და იგავ-არაკების კრებულები, ავტორია მრავალმხრივი ლიტერატურისმცოდნეობითი ნარკვევებისა. მას ეკუთვნის ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ მწერალთა ნაწარმოებების მაღალმხატვრული თარგმანები. იცის ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა დაიწყო 50-იან წლებში, რისთვისაც ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა დააპატიმრეს. მიუხედავად ამისა, 60-70-იან და 80-იან წლებში ინტენსიურად განაგრძობდა პოლიტიკურ მოღვაწეობას. იყო საქართველოში პირველი თვითგამოცემითი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორ-გამომცემელი. 70-იან წლებში გამოსულმა „ოქროს საწმისმა“, „საქართველოს მოამბემ“, „საქართველომ“, „მატიანემ“ და სხვებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღორძინების საქმეში.

ზვიად გამსახურდია საქართველოს პელსინკის კავშირის დამფუძნებელი და უცვლელი თავმჯდომარეა. 1989 წელს აირჩიეს წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარედ. არის ყველა საპროტესტო აქციისა და გამოსვლის ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური ნარმმართველი.

1977-1979 წლებში ზვიად გამსახურდია იყო რეპრესირებული. პოლიტიკური მოღვაწეობისათვის სასჯელს იხდიდა თბილისის, მოსკოვისა და კასპიისპირეთის საპატიმროებში.

პყავს შეუღლე და სამი ჯაფაშვილი.

ერთხმად გადაწყდა — ამიერიდან საქართველოს რესპუბლიკის ახალგაზრდები აღარ იმსახურებენ საბჭოთა არმიაში

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე 14-15 ნოემბერი

14 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესია დაიწყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის ლოცვა-კურთხევით.

დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს იმათ ხსოვნას, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპა.

სესია გახსნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ჟორდანიამ, რომელმაც შეკრებილთ მოახსენა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შედეგები. სესიამ აირჩია ხმის დამთვლელი კომისია, დამტკიცა უზენაესი საბჭოს სხდომების დროებითი რეგლამენტი. აირჩიეს ხელმძღვანელი ორგანოები: სამდივნო, სარედაქციო და სამანდატო კომისიები. უზენაესმა საბჭომ დამტკიცა ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილება

(დასასრული 33-ე გვ.).

ჩვენი მილოცვა

„ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქცია თავის მრავალათასიან მკითხველთან ერთად გულწრფელად ულოცავს სრულიად საქართველოს ამ ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას — ბატონ ზვიად გამსახურდიასა და ბლოკ „მრგვალ მაგიდა — თავისუფალ საქართველოს“ დიდ გამარჯვებას და უსურვებს ჩვენი სანუკვარი მიზნის ბოლომდე მიყვანას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

თენგიზ სიგუა

თენგიზ პოლიტის ძე სიგუა დაიბადა 1934 წლის 9 ნოემბერს სოფელ ლენტეხში მოსამსახურის ოჯახში. 1952 წელს დამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, 1957 წელს — საქართველოს



პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მეტალურგის სპეციალობით. 1957-59 წლებში მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. 1959-62 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი. მისი დამთავრების შემდეგ მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ლაბორატორიის გამგედ, დირექტორის მოადგილედ.

1989 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორად.

1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1988 წელს — სადოქტორო დისერტაცია. არის ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.

ბოლო წლებში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. არის მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დასმარების ფონდის სათათბიროს წევრი. 1989 წელს აირჩიეს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად, 1990 წელს — ამავე საზოგადოების პრეზიდენტად. არის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ ექსპერტთა ჯგუფის წევრი.

ბყავს მეუღლე და ქალიშვილი.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

აკაკი ასათიანი

აკაკი თორნიკეს ძე ასათიანი დაიბადა 1953 წლის 22 ოქტომბერს, ქალაქ თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1971 წელს დამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, 1977 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა მახნავლებლად, მთარგმნელად, რედაქტორად. ბოლო დროს მუშაობდა საქინფორმში — საინფორმაციო საagენტო „საქართველოში“ მთარგმნელად.

აქტიურად მონაწილეობს ეროვნული მოძრაობის ყველა ღონისძიებასა და აქციაში, არის ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე და „მრგვალი მაგიდის“ წევრი.

ბყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ნემო ბურჭულაძე

ნემო პიერის ძე ბურჭულაძე დაიბადა 1946 წელს მედაგოგების ოჯახში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი საავტომობილო გზების მშენებელი ინჟინრის სპეციალობით, მსახურობს მიწათმოწყობის რესპუბლიკურ ინსტიტუტ „საქსამიწპროექტში“ პროექტის მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე.

ნემო ბურჭულაძე საქართველოს ეროვნული ფრონტის — რადიკალური კავშირის მთავარი კომიტეტისა და პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდის“ წევრია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაშია 1966 წლიდან.

ბყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს სსრ სახელმწიფოების შეერთების შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ეწოდოს საქართველოს რესპუბლიკა.

2. შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში).

3. კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. **1990 წლის 14 ნოემბერი.**

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 180-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 24 აპრილის გრძანებულება (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 4, მუხ. 68).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. **1990 წლის 14 ნოემბერი.**

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 181-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის გამოსახულება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 11 აპრილის გრძანებულება „საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ“ (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1951 წ., № 2, მუხ. 21).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. **1990 წლის 14 ნოემბერი.**

საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განცხადების შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განცხადება ახლად არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წინაშე თავისი უფლებამოსილების მოხსნის თაობაზე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განაგრძოს თავის მოვალეობათა შესრულება, სანამ საქართველოს უზენაესი საბჭო საქართველოს ახალ მინისტრთა საბჭოს შექმნიდეს.

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. **1990 წლის 14 ნოემბერი.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა მსოფლიოს ხალხებს

მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოთა ერთობლივმა ძალისხმევამ შესაძლებელი გახადა ტოტალიტარული რეჟიმების ქვეყნებში დემოკრატიული პროცესების განვითარება. აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს თანამედროვე პირობებში უკიდურესი სისასტიკის რეჟიმების თანდათანობითი, ევოლუციური გზით შეცვლის რეალურ შესაძლებლობას, რაც უდავოდ პროგრესული პოლიტიკური ძალების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. ამ პირობებში საქართველოში დემოკრატიული ოპოზიციისა და მოსახლეობის ძალისხმევით შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირში უპრეცედენტო დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება. არჩეულნი დასავლეთის დამოუკიდებელ ექსპერტთა მეთვალყურეობით მიმდინარეობდა. გადამწყვეტი უპირატესობა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა დემოკრატიულმა ძალებმა მოიპოვეს.

საქართველო უკანასკნელ დრომდე დასავლეთისათვის უაღრესად საშიში ზესახელმწიფოს უპირველესი ნაწილს წარმოადგენს. ამდენად, კარგად გვესმის, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა ერთობ გართულდება, თუ იგი დაუპირისპირდება დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაახლოების პროცესს. ეს პროცესები პოზიტიური დემოკრატიული ნიშნით ვითარდება და სასურველია მოხერხდეს მათი ურთიერთშეთავსება.

საქართველოს მრავალპარტიული უზენაესი საბჭო სახელმწიფოებრიობის აღდგენის ეტაპობრივ პროცესს განიხილავს, როგორც ამიერკავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში სტაბილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რამეთუ საქართველოს, ისევე როგორც ბალტიის რესპუბლიკების, ხელოვნური გაერთიანება თუნდაც განახლებული საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, აუცილებლად გამოიწვევს ამ რესპუბლიკებში სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის დესტაბილიზაციას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო გარდამავალი პერიოდის ხელისუფლების ორგანოა და მიზნად ისახავს 1921 წლის თებერვალ-მარტში შეიარაღებული აგრესიის შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ჩვენ არ ვაპირებთ არც რომელიმე სახელმწიფოსთან და არც საქართველოში მცხოვრებ რომელიმე ეროვნებასთან დაპირისპირებას. ეს არის გზა, რომლითაც გარანტირებული იქნება საქართველოში ადამიანის, მოქალაქის, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საქართველო, გახდება რა მსოფლიოს თავისუფალ ახალმწიფოთა ოჯახის წევრი, თავის წვლილს შეიტანს სამართლიანი და ჰარმონიული მსოფლიოს შექმნაში. ამ გზაზე კი სხვა სახელმწიფოთაგან სოლიდარობისა და მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აცხადებს რა საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლები, **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებანი:

I. 1. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, XIX საუკუნის დასაწყისში დაკარგულ იქნა უცხო ძალის ჩარევის შედეგად.

ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას.

1917 წლის თებერვალში დაემხო რუსეთის იმპერია, რამაც ქართველ ხალხს შესაძლებლობა მისცა 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღედგინა საუკუნეზე მეტი ხნის წინ რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ გაუქმებული სახელმწიფოებრიობა.

ქართველმა ერმა თავისი პოლიტიკური ნება განაცხადა 1919 წლის 12 მარტს, როდესაც დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე ქვეყნისა და ისტორიის წინაშე ცნო და დაადასტურა ადრე მიღებული დამოუკიდებლობის აქტი, შემდეგ კი 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით (განსაკუთრებით 1924, 1936-38, 1949-51, 1956 წლებში), რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ამ მოვლენამ თვისებრივად ახალ ეტაპზე აიყვანა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დასრულდა 1990 წლის 28 ოქტომბერს, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა. ამით დაიწყო ახალი ხანა, რომელიც უნდა დაგვირგვინდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით.

ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს არსებული კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით იმოქმედებს გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი.

გარდამავალი პერიოდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები.

2. კონსტიტუციის დასახელებასა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, „საქართველოს სს რესპუბლიკა“, „საქართველოს სსრ“ შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკა“.

3. მე-4 თავის დასახელებიდან და პირველი, მე-4, მე-60, 64-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სოციალისტური“, ხოლო 37-ე, 48-ე და 59-ე მუხლებში შეიცვალოს სიტყვით „სახელმწიფო“.

4. მე-4, 35-ე, 37-ე, 57-ე, მე-60 მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საბჭოთა“.

5. მე-4, 35-ე, 37-ე, 57-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის კონსტიტუცია“.

6. ა) მე-6 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „...კომუნისტური პარტია, სხვა...“,

ბ) 25-ე მუხლიდან — „...ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას...“,

გ) 36-ე, მუხლიდან — „...რევოლუციურ თუ...“,

დ) 45-ე მუხლიდან — „...კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად...“,

ე) 57-ე მუხლიდან — „...პატივს სცემდეს სოციალისტური საერთოცხოვრების წესებს, ღირსეულად ატარებდეს საბჭოთა მოქალაქის მაღალ წოდებას“,

ვ) 62-ე მუხლიდან — „...საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოს...“.

7. კონსტიტუციის

ა) მე-7 თავის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის მდგომარეობა სსრ კავშირის შემადგენლობაში“.

ბ) 68-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკა არის სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრე სახელმწიფო. იგი ძალადობით არის შეყვანილი სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამ რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკა მხოლოდ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში იძულებულია უზრუნველყოს სსრ კავშირისათვის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლით, გარდა ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-11 პუნქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებისა.

ზემოთ აღნიშნულ ფარგლებს გარეთ საქართველოს რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე“.

გ) 77-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის და სსრ კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აჩერებს სსრ კავშირის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოქმედებას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონებს და ინტერესებს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონისაგან სსრ კავშირის კანონის განსხვავების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი“.

დ) 180-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს სახელმწიფო გერბი არის ეროვნული ორნამენტიანი შვიდქიმიანი ვარსკვლავი, ვარსკვლავის ოქროსფერ ჩუქურთმას აქვს შავი არშია. ქიმების შიდა ველი ქართული წითელი ფერისაა (შინდისფერია).

ვარსკვლავის გულზე მოთავსებულია მრგვალი ქართული ფარი, ქართული ფერის (შინდისფერი) ველით, რომელზედაც გამოსახულია ოქროსფლოქვებიან თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრი გიორგი. მას მარჯვენა ხელში უპყრია საბრძოლოდ შემართული ვერცხლისპირიანი ოქროს შუბი, ხოლო მარცხენაში — ოქროსზოლიანი ფარი.

თეთრ გიორგის აცვია ალისფერი შარვალი და ოქროსფერი წაღები. შემოსილია ვერცხლისფერ უჯრედებიანი ცისფერი ჯავშნითა და თეთრი მოსასხამით. ჯავშნის ქვემოთ მოუჩანს ყავისფერი (მიხაკისფერი) ტყავის პერანგი.

თეთრი გიორგის ცხენს უნაგირის ქვეშ დაფენილი აქვს ვეფხვის ტყავი. უნაგირი ოქროსია, ხოლო უზანგი — ვერცხლისა.

თეთრი გიორგის თავს ზემოთ რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია. ვარსკვლავის მარჯვნივ არის ვერცხლისფერი მთვარე, ხოლო მარცხნივ ოქროსფერი მზე. მთვარისა და მზის გასწვრივ ორ-ორი რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია.

თეთრი გიორგის ცხენს ქვემოთ შავი ფერით გამოსახულია მთის მწვერვალი“.

ვ) 181-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს ეროვნული და სახელმწიფო დროშა არის მართკუთხედის ფორმის ქართული წითელი ფერის (შინდისფერი) ქსოვილი, რომელსაც ტარის მხარეს, ზედა კუთხეში, აქვს შავი (ზემოთ) და თეთრი (ქვემოთ) ზოლები.

დროშის სიგანის შეფარდება სიგრძესთან არის 3:5, თითოეული ზოლის (შავისა და თეთრის) სიგანე არის დროშის სიგანის 1/5, ხოლო სიგრძე — დროშის სიგრძის 2/5“.

ვ) 182-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნს ამტკიცებს საქართველოს უზენაესი საბჭო“.

8. კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნეს მე-3, მე-9, მე-14, მე-15, მე-16, მე-20, 23-ე, 29-ე, 30-ე და 61-ე მუხლები მთლიანად, ხოლო მე-8 და 34-ე მუხლებიდან — მეორე ნაწილები, აგრეთვე 58-ე მუხლის მეორე წინადადება.

9. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 28-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 28.

საქართველოს რესპუბლიკა საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის პრინციპებითა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

საქართველოს რესპუბლიკაში ომის პროპაგანდა აკრძალულია“.

II. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი: 1990 წლის 14 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

მიმართვა

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პარიზის კონფერენციას

ჰელსინკის თათბირმა, მისმა საბოლოო აქტმა თავისუფლებას მოწყურებულ ხალხებს ჩაუსახა იმედი, რომელსაც კიდევ დიდხანს არ ეწერა ასრულება. ჰელსინკში დაწყებული მრავალმხრივი პროცესი დღეს თანდათანობით კონკრეტული შინაარსით ივსება, კანონიერ ძალას იძენს ვალდებულებანი, რომლებსაც მხოლოდ იმიტომ უგულებელყოფდნენ, რომ ისინი თვით ტოტალიტარიზმის ბუნებას ეწინააღმდეგება. თანდათანობით მართლდება იმედი, რომ ამ ფორუმს ძალუძს საქმით დაამტკიცოს საბოლოო აქტის, სხვა დოკუმენტების ქმედუნარიანობა, რეალურად განახორციელოს ევროპის ხალხების თანასწორუფლებიანობა და ერთიანობა, მათი უსაფრთხო და ბედნიერი თანაცხოვრება.

სიმბოლურია, რომ პროგრესული ძალები და ცალკეული ადამიანები, რომლებიც საკუთარი კეთილდღეობის, ხშირად თავისუფლების დაკარგვის, სიცოცხლის ფასადაც კი იღვწოდნენ თავიანთ ქვეყნებში ჰელსინკის იდეებისა და პრინციპების დამკვიდრებისა და განხორციელებისათვის, დღეს უკვე ოპოზიციას აღარ წარმოადგენენ, უფრო მეტიც — თავისი ხალხის თავისუფლად გამოხატული ნების შესაბამისად უზენაეს ხელისუფლებას განსახიერებენ და საერთაშორისო აღიარებით სარგებლობენ.

1921 წელს განხორციელებული შეიარაღებული აგრესიის შედეგად ოკუპირებულმა და ფაქტობრივად ანექსირებულმა საქართველომ პირველად 70 წლის მანძილზე დემოკრატიული და მრავალპარტიული არჩევნების საფუძველზე მოიპოვა შესაძლებლობა აერჩია ის გზა, რომელმაც იგი ევროპის ხალხების ოჯახში უნდა დააბრუნოს. ეს იქნება რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე გზა, და საქართველოს უზენაეს საბჭოს კარგად სქვს გაცნობიერებული, რომ რესპუბლიკის ლტოლვა სრული დამოუკიდებლობისაკენ არ უნდა იქცეს ევროპაში სტაბილურობის დარღვევის ფაქტორად, უფრო მეტიც, საქართველომ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს რეგიონალურ დონეზე უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და თანამშრომლობის განვითარებაში, რაც საბოლოო ჯამში ევროპული ინტეგრაციის პროცესებს წაადგება.

დიდია პასუხისმგებლობა, რომელიც ევროპისა და მსოფლიოს ხალხების მომავლის გადაწყვეტისათვის ეკისრებათ პარიზის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოების ლიდერებს. პარიზში მიღებული ყოველი გადაწყვეტილება მიმდინარე ცვლილებების რეალურად აღქმის სულისკვეთებით უნდა იყოს აღსავსე, ვინაიდან დადგა ის დღე, როდესაც იზრდება ჰელსინკის პროცესში მონაწილეობის პრეტენდენტთა რიცხვი. სწორედ ამ დროს წამოიწევს წინა პლანზე კონსენსუსის ფუძემდებელური პრინციპი, რომელმაც ჰელსინკის პროცესში ახალი საერთაშორისო სამართალსუბიექტების ჩართვა და შესაბამისად მისი თვისებრივად ახალ დონეზე აყვანა უმტკივნეულოდ უნდა უზრუნველყოს.

მშვიდობიანი გზით გერმანიის გაერთიანების დღეს უკვე რეალობად ქცეულმა ფაქტმა ნათელყო, რომ ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტში 1975 წელს ჩადებული დებულება — მოლაპარაკების გზით ევროპის სახელმწიფოთა საზღვრების შეცვლა — განხორციელებადი პროცესია.

ევროპის სახელმწიფოთა შორის საზღვრების გადასინჯვის პროცესი არ დამთავრებულა. ამის თვალნათლივი მაგალითია ჯერაც სსრ კავშირში შემავალი, წარსულში ევროპული ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მქონე საქართველოსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკათა ბუნებრივი, სამართლიანი სწრაფვა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ.

თვით ჰელსინკის პროცესის სულისკვეთება — ევროპის ხალხთა თანასწორუფლებიანი, უსაფრთხო თანაარსებობა — ავალებს პარიზის კონფერენციას და მისი მონაწილე ქვეყნების მთავრობებს ისეთივე გულისხმიერება გამოიჩინონ საქართველოს სწრაფვისადმი თავისუფლებისაკენ, როგორსაც იჩენდნენ გერმანიის გაერთიანების პროცესისადმი.

ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტი ავალებს პარიზის კონფერენციის მონაწილე ქვეყნებს იზრუნონ არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვისათვის, არამედ ერთა თვითგამორკვევისა და თანასწორობისთვისაც: „მონაწილე ქვეყნებმა პატივი უნდა სცენ ერთა თანასწორობასა და მათ უფლებას საკუთარი ბედის განმგებლობისას. მათ გამუდმებით უნდა იმოქმედონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად“.

ჰელსინკში დაწყებული პროცესის განვითარებას გარკვეული თვალსაზრისით ასახავს და დღევანდელი გადმოსახედიდან რამდენადმე წინასწარმეტყველურადაც ეღერს 1975 წელს ჰელსინკში გამოთქმული აზრი: ისტორია ამ თათბირის შესახებ განსჯის არა იმით, თუ რას ვამბობთ დღეს, არამედ იმით, თუ რას გავაკეთებთ ხვალ, არა იმ დაპირებებით, რომლებსაც ჩვენ ვიძლევით, არამედ იმ დაპირებებით, რომლებსაც შევასრულებთ. ეს სიტყვები დღესაც აქტუალურია, რამეთუ ისტორიამ მართლაც ყველას თავისი ადგილი მიუჩინა, მაგრამ მრავალმხრივი პროცესი გრძელდება და მომავალი თაობებიც თავიანთ განაჩენს გამოიტანენ.

იმედს გამოვთქვამთ, რომ პარიზის კონფერენცია და ჰელსინკის პროცესის მონაწილე ქვეყნები რეალურად შეაფასებენ საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში მიმდინარე მოვლენებს — წარსულში დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა სამართლიან სწრაფვას სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ, და ინტეგრაციის ხელოვნური, უსწორო ეტაპებით არ შეაფერხებენ გლობალური ევროინტეგრაციისა და საბოლოო სტაბილიზაციის პროცესს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა

პატივცემულო დეპუტატებო!
პატივცემულო სტუმრებო!
პატივცემულო ქალბატონებო!

საქართველოს ეროვნული-განმანთავისუფლებელი მოძრაობის, საქართველოს შუფრუგილები, ფეშორა ტოფალი ოსურენოვანი ანსამბლისადმი მიმართული წელს ზეგანაკვეთა ჰორეული ბოდიანი ბოდიანი ბრიალაბარაბარული, ფეშორა ტოფალი ოსურენოვანი ანსამბლისა, ეროვნული ანსამბლის ქართველთა ერმა გამოხატა ოფიციალური ნება, მან თავისი ნებობის მანდატი გადასცა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდს — გამარჯვება საარჩევნო ბლოკმა ჩრეკალმა მაგიდამ — თავისუფალმა საქართველომ! გილოცავთ ამ გამარჯვებას, ბატონებო!

ქართველმა ერმა გამოამჟღავნა უდიდესი პოლიტიკური სიბნელე. მაღალი ეროვნული და მოქალაქეობრივი შეგნება. ქართველი ერმა დაადასტურა, რომ რეი შნად არის თავისუფლებისათვის! ჩვენ ფიდოდენ ბედნიერ ვართ მოგაბოდეთ ყველა ქართველს, საქართველოს ეროვნულ ფოდელებს, ეროვნულ ფოდელ ბანაკებს, ეროვნულ ბანაკებიანობის ბოლოს ეროვნული ბანაკებიანობის ბოლოს, ეროვნული ბანაკებიანობის ბოლოს, ეროვნული ბანაკებიანობის ბოლოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დეპუტატი **აკაკი თორნიკეს ძე ახათიანი.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. **1990 წლის 15 ნოემბერი.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დეპუტატი **ნემო პიერის ძე ბურჭულაძე.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. **1990 წლის 15 ნოემბერი.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ **თენგიზ იპოლიტეს ძე სიგუა.**

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სტრუქტურისა და პერსონალური შემადგენლობის შესახებ.

3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისმა მუდმივმა კომისიებმა წარმოუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს დასკვნები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურისა და პერსონალური შემადგენლობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. **1990 წლის 15 ნოემბერი.**

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის შემოღების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შემოღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 104-ე მუხლის მე-17 პუნქტში სიტყვები „პირველ მოადგილეს“ შეიცვალოს სიტყვებით „პირველ მოადგილესა და მოადგილეს“;

2. 112-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვების „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე“;

115-ე მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვები „პირველი მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატურას“ შეიცვალოს სიტყვებით „პირველ მოადგილისა და მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატურებს“.

II. ეს კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. **1990 წლის 15 ნოემბერი.**

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 182-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკალური რედაქცია (თან ერთვის).

2. ამ კანონით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესრულება მთელ რესპუბლიკაში შემოღებულ იქნეს 1990 წლის 15 ნოემბრიდან.

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკის ნოტები გამოქვეყნდეს.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 14 აპრილის ბრძანებულება (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 4, მუხ. 69).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი. **1990 წლის 14 ნოემბერი.**



საქართველოს რესპუბლიკის
სახელმწიფო ჰიმნი „დიდება“

კ. ფოცხვერაშვილის

ტექსტი და მუსიკა

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს,
ტურფა ივერსა,
დიდება ძმობას, ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისო
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა;
ვაშა ტრფობასა, სიყვარულს,
ვაშა შვებასა, სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ განთიადსა!

საქართველოს
უზენაეს საბჭოში

პირველი ინტერვიუ სხდომის შემდეგ

ავთანდილ იმნაძე („მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“):

— ჩვენ ნამდვილად ისტორიული მომენტის თვითმხილველები ვართ, პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში, საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები შერეული სისტემით. ეს არჩევნები თავისი არსით არასაბჭოურია, იმდენად, რამდენადაც ის არაფრით არ შეჯსაბამება საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებს. და აი, დღეს შეიკრიბა პირველი სესია, დიახ პირველი და არა რიგით რომელიმე, რადგან ეს ახალი ისტორიის დასაწყისია.

ვფიქრობ, ყველაფერი ისე გაკეთდება, როგორც ამას მომავალი მოითხოვს. და ქართველი ერი მივა იმ მიჯნამდე, როდესაც გამოცხადდება საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია. ამასთან უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთ ზუსტად იმ მომენტში, როცა ამის რეალური საფუძველი გვექნება, როცა ამის დრო მოვა. რადგან ჩვენ გვაქვს ბალტიის რესპუბლიკების გამოცდილება, რომლებმაც დამოუკიდებლობის დეკლარაციებით დაიწყეს, მაგრამ... თუმცა მე ღრმად მჯერა, რომ ეს რესპუბლიკები, ისევე როგორც საქართველო, უთუოდ მიაღწევენ სანუკვარ მიზანს.

ავთანდილ რცხილაძე („მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“):

— ეს ნამდვილად უდიდესი მოვლენაა ჩვენი ერის ცხოვრებაში. გამარჯვება მიღწეულია უდიდესი ძალისხმევის შედეგად, მაგრამ კიდევ მეტის გაკეთება იქნება საჭირო მის შესანარჩუნებლად და გასავითარებლად. აქედან გამომდინარე, მე ვუსურვებ საქართველოს ეროვნულ მოძრაობას, ახლად არ-

(დასასრული №-7 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე 14-15 ნოემბერი

(დასასრული)

და მიიღო შესაბამისი დადგენილება. სესიაზე სიტყვით გამოსულმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ნოდარ ჭითანავამ განაცხადა, რომ მინისტრთა საბჭო იხსნის უფლებამოსილებას ახლადარჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წინაშე. სესიამ ცნობად მიიღო ეს განცხადება და დაავალა მთავრობას განაგრძოს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება, სანამ უზენაესი საბჭო ახალი საქართველოს მინისტრთა საბჭოს აირჩევდეს.

ამის შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ სესიის 14-15 ნოემბრის სხდომების დღის წესრიგის განხილვას (დღის წესრიგში შეტანილი საკითხების მიხედვით სესიის მიერ მიღებული კანონების, დადგენილებების, გადაწყვეტილებებისა და მიმართვების ტექსტებს დღეს გთავაზობთ).

სესიამ ფარული კენჭისყრით საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ზვიად გამსახურდია. ერთხმად დამტკიცდა ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი.

სესიაზე საპროგრამო განცხადებით გამოვიდა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია.

ქართველ ოფიცერთა რესპუბლიკური ეროვნული გაერთიანების სახელით სესიის მონაწილეებს მიესალმა ამ გაერთიანების შტაბის უფროსი დურუ ჭითანავა.

სესიის პირველი დღის დასასრულს გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორმა პაატა ნაცვლიშვილმა დეპუტატებს გააცნო ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის — ალექსანდრე სულხანიშვილის ანდერძი, რომ ქაქუცას დროშა ახალარჩეულ პარლამენტს მიეღო. პატარებმა გიორგი გამსახურდიამ და არჩილ მოლოდინაშვილმა დარბაზში შემოიტანეს საქართველოს რესპუბლიკისა და ქაქუცას დროშები.

15 ნოემბერს სესიის სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ზვიად გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ სესიამ ერთხმად აირჩია დეპუტატი აკაკი ასათიანი, მოადგილედ დეპუტატი ნემო ბურჭულაძე.

უზენაესმა საბჭომ ერთხმად დანიშნა დეპუტატი თენგიზ სიგუა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

სესიაზე მორიგი სხდომის დაწყების წინ დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანის, „მრგვალი მაგიდის“ წევრის, პოლიო გოგელიას ხსოვნას.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესია უახლოეს მომავალში განაგრძობს მუშაობას...

სესიაზე სიტყვით გამოსულმა დემოკრატიული საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას ვაჟმა რეჯებ ჟორდანიამ გამოთქვა რწმენა, რომ მალე დადგება დრო, როცა ხელს ჩამოართმევს თავისუფალი საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს.

სესიაზე კახეთის მთელ რიგ რაიონებში წარმოშობილი რთული ოპერატიული ვითარების შესახებ საგანგებო ინფორმაციით გამოვიდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს უფროსი გრიგოლ შონია.

დეპუტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნის შესახებ, აირჩიეს ამ კომისიის თავმჯდომარეები.

სესიაზე გამოვიდნენ ქართველ შევარდენთა ლეგიონის მეთაური ელგუჯა წიკლაური, „ნ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკური საშუალო სპეცსკოლა-ინტერნატის კურსანტი კახაბერ ნაკანი.

კახეთის მთელ რიგ რაიონებში რთულ ოპერატიულ ვითარებასთან დაკავშირებით შექმნილი დეპუტატთა ჯგუფის სახელით გამოვიდა დეპუტატი არჩილ მინდიაშვილი.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხსა და პრობლემასთან დაკავშირებით გამოვიდნენ დეპუტატები გურამ პეტრიაშვილი, ვიქტორ დომუხოვსკი, ალიკო ქობულაშვილი, ნოდარ ნათაძე, ავთანდილ იმნაძე, ზაალ კახიანი, გელა ჩორგოლაშვილი, ალექსანდრე ელენტი.

დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს წინა დღით გარდაცვლილი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანის, „მრგვალი მაგიდის“ წევრის, პოლიო გოგელიას ხსოვნას.

სესიაზე მორიგი სხდომის დაწყების წინ დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირის მერაბ კოსტავას ხსოვნას. ტრიბუნაზე მოწვეული გმირის დედა ოლღა დემურია-კოსტავა გულთბილად მიესალმა ახალი უზენაესი საბჭოს დეპუტატებს და დალოცა ისინი.

საქართველოს უზენაესს საბჭოში

ინტერვიუ პირველი სხდომის შემდეგ

(დასასრული)

ჩეულ მრავალპარტიულ ეროვნულ პარლამენტს ყველაფერი მოიმოქმედონ იმისათვის, რომ საქართველოში მოხდეს ნამდვილი ეროვნული შერიგება და ყველა ქართველმა ერთად იაროს გამარჯვების გზით, რომელიც ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე მიგვიყვანს.

ნოდარ ნათაძე (საქართველოს სახალხო ფრონტი):

— ჩემი განწყობა, რა თქმა უნდა, ოპტიმისტურია. დასაწყისი კარგია, მაგრამ დასაწყისი მაინც მხოლოდ დასაწყისია. მირჩევნია, რომ ჩვენი სესია გაგრძელდეს თუნდაც ერთ თვეს და ამას რამდენიმე ასეული დადგენილება და კანონი მოჰყვეს, ვინემ ორ დღეში დამთავრდეს და სულ რამდენიმე დადგენილება და კანონი მიიღოს. რადგან ეს რამდენიმე ასეული დადგენილება და კანონი სჭირდება ჩვენს ყოველდღიურობაში იმპერიალიზმის ყველაზე ბარბაროსული გამოვლინებების მოხსნას და მოსპობას. დამერწმუნეთ, მათ შორის მხოლოდ ყველაზე ბარბაროსულის მოხსნას სჭირდება რამდენიმე ასეული დადგენილება. დღეს ჩვენში მრავალი სფეროა გამოსასწორებელი, მრავალი წყლულია მოსარჩენი. მათგან ბევრს ხომ ისე შევეჩვიეთ, რომ ვეღარც კი ვამჩნევთ. ეს ყველაფერი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

გარდა ამისა, ჩვენ გვჭირდება წინასწარ რამდენიმე უდიდესი იურიდიული ნაბიჯის გადადგმა იმისათვის, რომ ბევრ ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ თავის დაცვა შევძლოთ. ხახს ვუსვამ — ეს ნაბიჯები ჩვენ ახლავე, სულ რამდენიმე თვეში უნდა გადავდგათ.

ვინდია უბრალაძე (საქართველოს კომუნისტური პარტია):

— ჩვენ დღეს ღირსშესანიშნავი დღე დავვიდგა, ამას, ვფიქრობ, საქართველოში ყველა გრძნობს მიუხედავად იმისა, თუ რომელ საზოგადოებრივ ძალას წარმოადგენს. ჩვენ მოვესწარით იმ ბედნიერ დღეს, როდესაც საქართველოში მრავალპარტიულობის საფუძველზე შეიქმნა ეროვნული პარლამენტი. კიდევ რომ იყოს ცალკეული შენიშვნები ან ცალკეული საყვედურები გამოითქვას ვინმეს მიერ ვინმეს მიმართ, ეს არ არის მთავარი. მთავარი, არსებითი და გადამწყვეტი ის არის, რომ ქართველმა ხალხმა გამოხატა თავისი ნება და გააკეთა ერთადერთი და სწორი არჩევანი.

ვფიქრობ, ჩვენი ახალი უზენაესი საბჭო, ქართული ეროვნული პარლამენტი, უთუოდ შესძლებს ჩვენს წინაშე მდგარი სირთულეების დაძლევას, თუნდაც იმიტომ, რომ ის ბრძოლით მოპოვებული გამარჯვების შედეგია. ბრძოლით მოპოვებული გამარჯვება კი სულ სხვა რამაა.

მჯერა, არ აღმოჩნდება ძალა, რომელიც შესძლებს წინ აღუდგეს ჩვენს თანამშრომლობას იმ დიდი მიზნების განხორციელების გზაზე, რომლებიც წინა გვაქვს.

„ქველმოქმედთა ალყაში“ ანუ როგორ გავხდი „ერის მტერი“

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ჩემს (უკვე ყოფილ) მეგობარს, კომპოზიტორ ზურაბ ჩინჩალაძეს შევთავაზე შეგვექმნა შემოქმედებითი გაერთიანება (ფირმა), რომელსაც შემდეგ „ორბი“ ვუწოდეთ. მომავალი ფირმის ერთი უმთავრესი მიზანთაგანი იყო შეგვექმნა ობოლ და მზრუნველობასმოკლებული ნიჭიერი ბავშვებისაგან თანამედროვე მაღალპროფესიონალური საესტრადო კოლექტივი.

ჩემმივე ინიციატივით (ჩემდაგე საკვალოდ) შევარჩიეთ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება. იმხანად ჩემთვის ნაკლებად იყო ცნობილი ამ საზოგადოების პოლიტიკური ამბიციები, უფრო მეტიც, ვიფიქრე, რომ დემოგრაფიული საზოგადოება, ისე როგორც ცივილიზებულ ქვეყნებში, უმთავრესად საქველმოქმედო ხასიათის მატარებელი ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო და უნდა გადაეჭრა ქვეყნის ძირითადი მოსახლეობის განსახლების და ყოფის საკითხები.

მოვილაპარაკეთ, დავამტკიცეთ მომავალი ფირმის წესდება, რომლის მიხედვითაც იგი ხდებოდა დემოგრაფიულ საზოგადოებაში შემავალი დამოუკიდებელი ორგანიზაცია თავისი ბეჭდითა და ანგარიშით ბანკში, რომელიც თავის შემოსავალის გარკვეულ ნაწილს შეიტანდა დემოგრაფიული საზოგადოების სალაროში (ან ანგარიშზე ბანკში).

სწორედ ამ ეტაპზე ზ. ჩინჩალაძეს გაუჩნდა უნდობლობის გრძნობა დემოგრაფიული საზოგადოების მიმართ. მას აეკვეთება მისი ჩაკეტილი კარები და მასზე მიკრული განცხადება „პროკურატურის პროვოკაციის გამო მთხოვნელთა მიღება შეწყვეტილია“ (შემდეგში ეს ეპვები მე მომაწერეს) და დელიკატურად უარი თქვა წამოწყებაზე.

ახლა, სიმართლე ითქვას, მეც მიკვირს. ისე როგორ დაბეჩავა „საკოდავი“ იმპერიის ორგანომ, საბჭოთა პროკურატურამ, ერის ინტერესებისათვის თავგანწირული ორგანიზაცია, რომ მთელი თვით გადაუკეტა კარები ვინ იცის რა გადაუდებელი დახმარების იმედით მოსულ ადამიანებს.

ზ. ჩინჩალაძის პესიმიზმი მაინც გაიფანტა, როცა საკმაო ჯახირის (ვისაც გამოუცდია დამეთანხმება) შემდეგ მივართვით ფირმის დირექტორის ბეჭედი და დამღა. მოხდა ადამიანის ფანტასტიკური მეტამორფოზა: ზ. ჩინჩალაძე აღიავსო უშრეტი ენერგიით, „დაავიწყდა“ რომ ჩვენ მოვილაპარაკეთ ვყოფილიყავით კომპანიონები, „შემთხვევით გამორჩა“, რომ საჭირო იყო ჩემი იურიდიულად გაფორმება ფირმის სამხატვრო ხელმძღვანელად.

ასე შევუდექით დიდი ხნის წინათ ჩაფიქრებული საქველმოქმედო კონცერტ-ტელეგადაღების ჩატარების გეგმის განხორციელებას. ამასთან დიდსულოვნად ჩავთვალეთ, რომ ხელფასი და ფორმალური მხარეები მოითმენდნენ, რომ მთავარი იყო 14 და 15 ნოემბერს სპორტის სასახლეში კონცერტების მაღალ დონეზე ჩატარება.

კონცერტებს დავარქვით იმ სიმღერის სახელი, რომლის ტექსტიც ზ. ჩინჩალაძის მუსიკაზე ჯერ კიდევ ზაფხულში დავწერე, მას ჰქვია... „იმედე დროზე, საქართველო!“

...და უცებ, მოწმენდილ ცაზე გავარდა მეხი!.. ჩატარდა (ვეღირსეთ) დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნები. დემოგრაფიულ საზოგადოებაში ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ ჩატარებული საზეიმო მიტინგის შთაბეჭდილებით მივედი. კარგ ხასიათზე ვიყავი და „წამომცდა“, რომ ბოლო მოეღო „ქართველი ერის ნების“ სახელით სპეკულაციას. რომ ერმა ოფიციალურად და დაუფარავად გამოხატა თავისი ნება (საბედნიეროდ, ოპოზიციური ძალების სასარგებლოდ). მაგრამ ოთახში მყოფმა ე. წ. „საქველმოქმედო კომიტეტმა“ ერთხმად ამიხსნა, რომ მე დილეტანტი ვარ, რომ ბრბოს მოტყუება ადვილია, რომ „მრგვალი მაგიდის“ ხალხი შანტაჟით და ძალდატანებით აიძულებდნენ მოსახლეობას არჩევანის გაკეთებას, რომ პარლამენტში უღირსნი დასკუბდნენ და ა. შ. ერთ ხანს გავძალიანდი, მაგრამ როცა ნაზევრადხუმრობით „მრგვალი მაგიდის“ „აგენტიც“ მიწოდეს, ვიფიქრე: „ბოლოსდა ბოლოს ეს ხომ ამ ოთახში მყოფთა სუბიექტური აზრია, აზრის გამოთქმის უფლება კი ყველას აქვს. ამ მოსაზრებით კამათი აღარ გავაგრძელე და საკითხი ამოწურულად ჩავთვალე. მწარედაც შევცდი..

ერთი კვირის შემდეგ, 7 ნოემბერს, დაახლოებით დღის 2 საათზე, დემოგრაფიული საზოგადოების შენობაში ე. წ. „დემოგრაფებმა“ მომიწყვეს იმპროვიზებული „მიტინგი-სასამართლო“. მათი ბრალდებები იყო ცინიკური და მკრეხელური. ე. წ. დემოგრაფებმა „დამიმტკიცეს“, რომ ერის დედაც და და მამაც მათი საზოგადოებაა, რომ ეროვნული საქმის კეთება მხოლოდ მათი პრივილეგიაა, რადგან ქართველი ხალხის ნების გამოხატველი სწორედ მათი ორგანიზაციაა და რაკი მე ვბედავ (თუნდაც არაოფიციალურად) განსხვავებული აზრის გამოთქმას, ამით ეროვნული საქმის, მაშასადამე ერის მტერი ვარ.

„მადა ჭამაში მოდისო“ და დამაყარეს ბრალდებები, რომ მე „მრგვალი მაგიდის“ მოგზავნილი ვარ, რომ დემოგრაფიული საზოგადოების ლიდერის ბატონ ილია ბეგიაშვილს მისამართით ვაცხადებ, რომ ბრიყვია და უზრდელი, რომ მე ტელევიზიაში ვამტკიცებდი, თითქოს გიორგი ჭანტურიამ თავისი ხელით მიიჭედა ტყვია მკლავში და ა. შ.

მოალყე „ქველმოქმედთა“ გარეგოცვაში მივმართე კაცს, რომელსაც იმ წუთამდე მეგობრად და თანამოსაქმედ ვთვლიდი, კაცს, რომელთანაც მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა მქონდა, კაცს, რომელს საკმაოდ პოპულარულ მუსიკებზე დამიწერია ოცზე მეტი სიმღერის ტექსტი: „ზურა! რა გვინდა ამ ხალხთან, ხელოვან კაცს არ შეჰფერის მათთან თანამშრომლობა, უარი ვთქვათ კონცერტზე და დავტოვოთ აქაურობა!“

უნდა გენახათ დემოგრაფთა აღტაცება, როცა მათმა ახლად გამომცხვარმა „ფალავანმა“ დიდებული სარმა გამომდო:

„დათო, მე შენ აღარ გენდობი. მე, როგორც ყველა პატიოსან კაცს შეჰფერის (უპატიოსნოებში ალბათ შედის ყველა დანარჩენი), ჩემი ნაცნობების, მოსწავლეთა მშობლების და თანამშრომლების თანხლებით ხმა მივეცი დემოგრაფიულ საზოგადოებას“.

ამით ჩემი მოთმინების ფიალაც აიავსო (არც იქამდე იყო ცარიელი) და გავეცალე მოზეიმე დემოგრაფებს, რომელთაგან განსაკუთრებულად იბრძოდნენ (ღმერთო ჩემო დასმენასავით გამომდის, მაგრამ ჯაფა ხომ უნდა დავუფასო), ბატონი ნიკო ტუსიაშვილი და ქალბატონი იზოლდა ვაქიაშვილი.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მინდა გავაკეთო რამდენიმე კატეგორიული განცხადება.

1. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების საქველმოქმედო კომიტეტს და მის შემოქმედებითი გაერთიანება „ორბის“ დირექტორ ფალავანს ზ. ჩინჩალაძეს არ ჰქონდათ მორალური უფლება ჩაეტარებინათ 14-15 ნოემბერს სპორტის სასახლეში კონცერტები საერთო სათაურით „იმედე დროზე, საქართველო!“, რადგანაც ამ სიტყვების და საკონცერტო რეპერტუარში შეტანილი კიდევ რამდენიმე სიმღერის ტექსტს ავტორს მიაყენეს მძიმე სულიერი ტრავმა. ესეც რომ არა, ვნახეთ, თუ რა „მკაცრად“ უსწორდება უახლოესი წარსულის მეთოდებით ეს ორგანიზაცია სხვაგვარად მოაზროვნეთ.

მაშ სადაა გარანტია, რომ ეს საზოგადოება გაიმეტებს თუნდაც მცირეოდენს კონცერტების შემოსავლიდან მათთვის, ვინც გაბედა და ხმა მისცა არჩევნებში „მრგვალ მაგიდას“?

2. რადგან საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება „ვერ ხედავს“, რომ არჩევნებში გაიმარჯვა მთელმა საქართველომ და არა მარტო „მრგვალმა მაგიდამ“, რომ ე. წ. „დამარცხებულებიც“ კი სულით და გულით ულოცავენ ერთმანეთს გამარჯვებას;

რადგან დემოგრაფიული საზოგადოება აკნინებს მომავალ პარლამენტს ჯერ კიდევ მანამდე, როცა მას ერთი საკანონმდებლო აქტიც არ განუხორციელებია და ამით კვლავ ეწევა ეროვნულ მოძრაობას დაქსაქსვისა და დაჯგუფებათა ინტერესების ვიწრო ჩიხში, მოვუწოდებ ხელოვნების მოღვაწეებს და სპორტსმენებს: „ნუ მიიღებთ მონაწილეობას დემოგრაფიული საზოგადოების ეგიდით გამართულ „საქველმოქმედო“ კონცერტებში და სპორტულ სანახაობებში. ხოლო იმ ოჯახებს, რომლებსაც მართლაც ესაჭიროებათ მატერიალური თანადგომა, მოვუწოდებ: ნუ მიმართავთ დახმარებისთვის დემოგრაფიულ საზოგადოებას და ნუ მიიღებთ მათი „ქველმოქმედების“ ნაყოფს, რომელსაც მადლი არ სცხია. მერწმუნეთ, ღვთის მადლით, საქართველო არ განიცდის საქველმოქმედო ორგანიზაციებისა და ფონდების ნაკლებობას.

3. მოვითხოვ: დემოგრაფიულმა საზოგადოებამ დაუბრუნოს ხალხს გავრცელებული ბილეთებიდან ამოღებული თანხა.

პატივისცემით დემოგრაფიული საზოგადოებისა და ქართველი ერის „მტერი“, უპარტიო (და არა უპატრონო) საქართველოს შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი

დავით ჟურიკი

ლორძილება ორგო

გვერდს სპონსორობენ არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძილება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში დამნაშავეობამ საგანგაშო მასშტაბი მიიღო. მკვეთრად იმატა მკვლელობის, ყაჩაღობის, ძარცვის, პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულობათა რაოდენობამ, მათ შორის ორგანიზებულ დანაშაულობათა შემთხვევებმა. უხეშად ირღვევა საზოგადოებრივი წესრიგი, შექმნილია დაუსჯელობის ატმოსფერო, მოშლილია სახელმწიფო დისციპლინა. არსებული ეკონომიკური სიძნელეების პირობებში, უკონტროლობისა და განუკითხაობის ვითარებაში გახშირდა ანგარების მიზნით თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტები.

ყოველივე ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და საშოქალაქო მშვიდობას. რესპუბლიკაში ასეთი მორალურ-სამართლებრივი ვითარება მით უფრო მოუთმენელია, როცა დღის წესრიგში რეალურად დგას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების ამოცანა.

სერიოზული ხარვეზებია სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობაში, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია თვით ამ ორგანოების სისტემის არასრულყოფილებითა და პარტიული დიქტატისადმი მათი დაქვემდებარებით.

დამნაშავეობის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღების, ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში რესპუბლიკის სასამართლო, არბიტრაჟის, პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების, იუსტიციის ორგანოებში მიზანშეუწონლად იქნეს ჩაჩნეული პარტიული ორგანიზაციების შექმნა და ფუნქციონირება. ამასთანავე ამ ორგანოებში არჩეული თუ დანიშნული თანამდებობის პირნი იმავდროულად არ შეიძლება იყვნენ რომელიმე პოლიტიკურ პარტიის წევრები.

2. რუსპუბლიკის სამართალდამცველმა ორგანოებმა მიიღონ კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა დანაშაულობათა აღკვეთის, მართლწესრიგის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებათა დაცვისათვის.

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური შინაგანი ჯარის დანაყოფები, რომლებიც ძირითადად დაკომპლექტდება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევი მოქალაქეებით.

4. საქართველოს ახლად შექმნილმა მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტოს მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური დანაყოფების ორგანიზაციული, მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები.

5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისმა კომისიებმა მოამზადონ და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარუდგინონ:

ა) წინადადებანი რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების სისტემის რეფორმის თაობაზე;

ბ) წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე ამნისტიის აქტის მიღების თაობაზე;

გ) კანონპროექტი მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური დანაყოფების სამართლებრივი სტატუსის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი.
1990 წლის 15 ნოემბერი.

დღეს, 17 ნოემბერს, თურქეთიდან გადმოსვენებულ იქნება უკანასკნელი ქართველი მონარქი, სოლომონ II. ქართველ ხალხი მეფის ნეშტს შეხვედრას მოუწყობს ბონიოს ციხესთან.

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია.

„მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ ბლოკს, გამარჯვებას!

გულწრფელად გილოცავთ თქვენ და ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალ საქართველოს“ დიდ გამარჯვებას. გისურვებთ დღეგრძელობას და დიდ გამძლეობას იმ მძიმე ბრძოლაში, რომელიც საქართველოს საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანს.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

უღრმესი პატივისცემით
ნინო ბურნაძე,
საერთაშორისო დიდოსტატი.

გამარჯვებას!

საინგილოს ქართველობა მთელ საქართველოსთან ერთად გილოცავთ ქართველი ერის საკეთილდღეოდ მოპოვებულ დიად გამარჯვებას.

ღმერთმა ინებოს, რომ ამ რთულ და ძნელ ვითარებაში გამოფხიზლებული ქართველობა მჭიდროდ შეკავშირდეს და ერთიანი ძალისხმევით შესძლოს დაჩაგრული ქვეყნის აღდგენა-აღორძინება. ჩვენც თქვენთანა ვართ. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

ინგილოელი ქართველების სახელით
ასრათ ომარაშვილი

„ბატონ ზვიად გამსახურდიას!

შაბათი ახლოვდება

ახლოვდება დღე, რომელიც ბევრ თქვენგანს თავისი უკიდურესად გაჭირვებული თანამოძმისათვის აქვს განკუთვნილი, როდესაც ვოვიწყებთ ხოლმე ჩვენს ყოველდღიურ მიწიერ საზრუნავს და მოყვასზე ვზრუნავთ.

ქაშუეთის ტაძართან, შაბათს ჩვენ კვლავ 11 საათისათვის შევიკრიბებით.

ყველაზე უქონელი ჩვენი თანამოძმეებისათვის საყოფ პროდუქტებს ამ დღისათვის შეიძენენ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლები.

თუ გაქვთ გამოუყენებელი თბილი ტანსაცმელი, რომელიც ჩვენმა გაჭირვებულმა თანამემამულეებმა შეიძლება გამოიყენონ, მოიტანეთ ტაძართან. აქ მათ ხანდაზმული ინვალიდები ელიან.

სათნოების ორდენი (პუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“)

ხვალ ფინალია...

ხვალ, თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე კიდევ ერთი სასახელო ფურცელი ჩაიწერება ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

ხვალ გახდება ცნობილი იმ გუნდის ვინაობა, რომელიც საქართველოს ეროვნული თასის პირველი მფლობელი გახდება. ერთმანეთის პირისპირ დადგებიან ორი საინტერესო კოლექტივი — ლანჩხუთის „გურია“ და სოხუმის „ცხუმი“. გუნდებმა ფინალამდე არცთუ იოლი გზა განვლეს, მრავალი ძლიერი მეტოქე დაამარცხეს და აი, გადამწყვეტი ძატჩის დროც მოვიდა. პროგნოზებისაგან, სჯობია, თავი შევიკავოთ და დაველოდოთ ხვალინდელ მატჩს, რომელიც, ღრმადა ვართ დარწმუნებული, მთლიანად გააამართლებს ფეხბურთის გულშემატკივართა იმედებს, იმ გულშემატკივრებისა, რომელსაც ველოდებით ჩვენს ეროვნულ სტადიონზე, რათა თანაბარი სიმპათიები გამოვხატოთ ორივე გუნდის მიმართ.

მაშ, ასე. — „გურია“ თუ „ცხუმი“?

(მატჩის დასაწყისი 15 საათზე).

სურათზე: საქართველოს ეროვნული თასი, რომელიც გადაეცემა გამარჯვებულ გუნდს.

ალბათ, მისაბაძია

საბჭოთა კავშირ-შვეიცარიის ერთობლივმა საწარმომ **„თბილისილინკ“-მა** თავისი ანგარიშიდან გადარიცხა ვაკის რაიონის 50 მრავალშვილიან ქართველ დედაზე 1990 წელს რიცხული ბინის ქირისა და კომუნალური გადასახადების საფასური.

ვიზების სათარგმნად

გთხოვთ, მიმართოთ კოოპერაციულ ფირმა „ზევსს“, რომელიც მიგიღებთ ყოველდღე დასვენების დღეების ჩათვლით 11-დან 21 საათამდე. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში, გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით, 22-58-40 და გვეწვიოთ მისამართზე: თბილისი, პეტრიაშვილის ჩიხი № 3.

„კავკასია“ — ჩვენი საერთო სახლი

ახლახან საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში გაიმართა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის, მწვანეთა პარტიის და რესპუბლიკის პრესისა და საინფორმაციო საგენტო „საქართველოს“ ჟურნალისტების საქმიანი შეხვედრა თემაზე: „კავკასია — ჩვენი საერთო სახლი“. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ მწვანეთა პარტიის სპიკერი ზურაბ ჟვანია, მწვანეთა მოძრაობისა და მწვანეთა პარტიის წარმომადგენლები ემილ კობახიძე, იულონ გაგოშიძე, ზურაბ ვახანია, ტარიელ ნიჟარაძე და გვანჯი მანია.

და, რასაკვირველია, ჟურნალისტები: ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ რედაქტორი ოთარ ჭელიძე, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ განყოფილების გამგე მზია კობერიძე, ჟურნალ „მანდილის“ განყოფილების გამგე ეთერ ჯაფარიძე, საინფორმაციო საგენტო „საქართველოს“ კორესპონდენტი გია კორძაძე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე ნიკა ჩერქეზიშვილი, ჟურნალისტთა კავშირის მდივანი აკაკი სიხარულიძე და სხვები.

ვფიქრობთ, ეს ღონისძიება თავისებური გენერალური რეპეტიცია იქნება საერთო კავკასიური შეხვედრა-დიალოგისა, რომელიც დღეს და ხვალ, 17 და 18 ნოემბერს გაიმართება ჩვენს დედაქალაქში — ჟურნალისტთა სახლის საქტო დარბაზში (ერეკლე მეორის მოედანი № 3) დასაწყისი 12.00.

მაია სეთურიძე
სურათზე: შეხვედრის დროს. ჯამარ ლომაძის ფოტო.

გასწორება

ჩვენი გაზეთის 15 ნოემბრის ნომერში შეცდომით არის დაბეჭდილი 9 აპრილს მოწამლული ზვიად გურამის ძე ქასრაშვილის სახელი, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით.

ყურადღება!

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ და სატელევიზიო პროგრამა „ილუზიონში“ რეკლამები შეგიძლიათ შეუკვეთოთ ტელეფონზე: 37-58-25; მისამართი: ბულაკაშვილის № 1. (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე).

ფირმა „არგო“-ს ხარეკლამო საგენტო

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Иверели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, სუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, ზ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქაღალდზე, სიშარიულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქტორი ვერა ბალარაჯიშვილი

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096. ზ. კოსტავას ქ. № 14.